GÜRTİAD

EKONOMİ BÜLTENİ

ეკონომიკური გამოცემა

14 Mart /მარტი 2025

Nüfus / მოსახლეობა	GSYİH ($) / მშპ ($)	GSYH (büyüme) /მშპ	İşsizlik / უმუშევრობა	Enflasyon /ინფლაცია
3 694.6	8 284.0	7.8%	13.9%	2.4 %

AB'ye Giriş-Çıkış için Yeni Sistem Devreye Alınacak

ევროკავშირში შესვლის წესები იცვლება

Avrupa Birliği (AB) ülkeleri, kısa süreli seyahat edenler için otomatikleşmiş giriş/çıkış sistemi (EES) konusunda anlaşmaya vardılar.

Brüksel'de yapılan anlaşma, sistemin sonbaharda devreye girmesinin önünü açıyor.

Üye devletlerin şimdi iki seçeneği olacak: Yeni sistemi hemen devreye almak ya da altı aylık geçiş dönemi boyunca bunu birkaç aşamada başlatmak. Bunun sonunda sınırı geçerken tüm kayıtlar EES kapsamında yapılmalıdır.

EES'in başlıca amacı, AB'nin dış sınırlarındaki kontrolleri modernize etmek ve pasaportlardaki geleneksel damganın yerine geçirmektir.

EES, AB üyesi olmayan ülkelerin, turizm, dinlenme veya iş amaçlarıyla gelen ve 180 günlük süre içinde toplamda 90 güne kadar kalan vatandaşlarına uygulanacaktır.

Sistem devreye girdikten sonra, ziyaretçilerden pasaportlarını sunmaları ve yüzlerinin fotoğrafının çekilip parmak izlerinin elektronik olarak taranması istenecektir.

ევროკავშირის შინაგან საქმეთა მინისტრებმა მხარი დაუჭირეს EU-ში შესვლა/გასვლის სისტემის - EES-ის დანერგვის განახლებულ ვადებს. ავტორიზაციის სისტემის ამოქმედება 2025 წლის ოქტომბრიდან ეტაპობრივად განხორციელდება.

ამავდროულად, ევროკავშირის ბიომეტრიული მონაცემთა ბაზა (Eurodac რომელიც აადვილებს თავშესაფრის მაძიებელთა იდენტიფიკაციას) განახლდება. კერძოდ,

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA LC WAIKIKI MAQRO CONSTRUCTION nurol TAV Airports Ziraat Bank

ევროპული მოგზაურობისა და ავტორიზაციის სისტემის (ETIAS) ამოქმედება 2026 წლის ბოლო კვარტალში არის დაგეგმილი.

ცნობისთვის, EES (Entry/Exit System) არის ევროკავშირის ინიციატივა, რომელიც მიზნად ისახავს საზღვარზე უკანონო მიგრაციისა და უვიზო რეჟიმის რეგულაციების დარღვევის პრევენციას, ასევე, უსაფრთხოების და საზღვრის კონტროლის გაუმჯობესებას.

EES-ის მიზანია ხანმოკლე ვიზიტით ევროკავშირში შემოსავალი მოქალაქეების (მათ შორის მათიც, ვინც უვიზო მიმოსვლით სარგებლობს, ან ვიზა სჭირდება) შესვლის, გამოსვლის და დარჩენის დროის ავტომატური აღრიცხვა და თვალყურის დევნა. ახალი რეგულაციები შეეხება საქართველოსაც.

შეგახსენებთ, ახალი სისტემის დანერგვა იქამდე გასული წლის იანვარში იგეგმებოდა, თუმცა გადაიდო იმ მიზეზით, რომ ევროპის რამდენიმე ქვეყანას ცვლილებების დანერგვისთვის საჭირო კომპიუტერული სისტემა მზად არ ჰქონდათ.

Tiflis’ten 5 Yeni Sefer

5 ახალი მიმართულება თბილისიდან

Mart ayının sonunda Tiflis'ten birkaç yeni sefer gerçekleştirilecektir. Bu dönemden pazara 5 yeni sefer yapacak dört yeni havayolu - British Airways, Transavia France, easyJet ve Edelweiss girecektir.

British Airways 30 Mart'tan itibaren uçuşlara başlayacak. Londra-Tiflis-Londra'ya direkt düzenli uçuşlar pazartesi, çarşamba, cuma ve pazar günleri olmak üzere haftada 4 frekans ile gerçekleştirilecek. Nisan ayında ekonomi sınıfı için tek yön biletin fiyatı 85-242 euro arasındadır.

İngiliz düşük bütçeli hava şirketi easyJet, 31 Mart'tan itibaren Tiflis Uluslararası Havalimanı'ndan 3 yeni destinasyon – Londra, Cenevre ve Milano'ya direkt uçuşlar başlatıyor. Destinasyonlara göre bilet fiyatı Nisan ayında 40-90 euro arasında.

Fransız havayolu Transavia France, 9 Nisan'dan itibaren Gürcistan'dan direkt uçuşlara başlıyor. Hava şirketi, Paris-Tiflis-Paris'e haftada iki frekans ile direkt düzenli uçuşlar gerçekleştirecek. Bilet fiyatı Nisan ayında 76-114 euro arasında.

12 Nisan'dan İsviçre hava şirketi Edelweiss pazara girecek. Havayolu haftada iki frekans ile Tiflis'ten Zürih'e direkt uçuşlar gerçekleştirecek. Nisan ayında tek yön fiyatı 116-183 euro arasındadır.

მარტის ბოლოდან თბილისიდან რამდენიმე ახალი ავიარეისი შესრულდება. ამ პერიოდიდან ბაზარზე შემოდის ოთხი ახალი ავიაკომპანია - British Airways-ს, Transavia France-ი, easyJet-ი და Edelweiss-ი, რომლებიც 5 ახალი მიმართულებით განახორციელებენ ფრენებს.

უფრო კონკრეტულად, 30 მარტიდან იწყებს ფრენებს British Airways-ი. ლონდონი-თბილისი-ლონდონის მიმართულებით პირდაპირი რეგულარული ფრენები კვირაში 4 სიხშირით შესრულდება. ფრენები ორშაბათს, ოთხშაბათს, პარასკევს და კვირას შესრულდება. ერთი გზის ბილეთის ფასი ეკონომ კლასისთვის აპრილში 85-242 ევროს ფარგლებშია.

ბრიტანული დაბალბიუჯეტური easyJet თბილისის საერთაშორისო აეროპორტიდან 3 ახალი მიმართულებით იწყებს ფრენებს. პირდაპირი რეისები ლონდონის, ჟენევისა და მილანის მიმართულებით შესრულდება. ავიაკომპანია ფრენებს 31 მარტიდან იწყებს. ბილეთის ფასი კი აპრილში მიმართულებების მიხედვით 40-90 ევროს ფარგლებში იქნება.

9 აპრილიდან იწყებს საქართველოდან პირდაპირ ფრენებს ფრანგული ავიაკომპანია Transavia France. პარიზი-თბილისი-პარიზის მიმართულებით პირდაპირ რეგულარულ რეისებს კომპანია კვირაში ორი სიხშირით შეასრულებს. ბილეთის ფასი აპრილში 76-114 ევროს ფარგლებშია.

12 აპრილიდან შემოდის ბაზარზე შვეიცარიული Edelweiss-ი. ავიაკომპანია პირდაპირ რეისებს თბილისიდან ციურიხის მიმართულებით შეასრულებს. ამ ეტაპისთვის, ფრენები კვირაში ორჯერ შესრულდება. რაც შეეხება საფასურს, 1 გზის ფასი აპრილში 116-183 ევროს ფარგლებშია.

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA K 777 LC WAIKIKI თბანკი İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports Ziraat Bank

Hava Kargo Taşımaları Geçen Yıl %20,3 Artarken, Kargo Cirosu %43,6 Arttı

გასულ წელს საჰაერო ტრანსპორტით გადატანილი ტვირთები 20.3 %-ით, ხოლო ტვირთბრუნვა 43.6%-ით გაიზარდა

Havayolu ile taşınan yük miktarı 2024'te, 2023 yılına kıyasla %20,3, yük hacmi ise %43,6 oranında artmıştır.

İstatistiklere göre, 2024 yılında Gürcistan'ın havayolları ile taşınan yük miktarı 269.6 bin ton, hacmi ise 611.5 milyon ton-kilometre olmuştur. Sonuç olarak, rapor döneminde, bir önceki yıla göre taşınan yük miktarı %20.3, cirosu %43.6 artmıştır.

2024 yılında Gürcistan havaalanları bir önceki yılın verilerine göre %23.9 daha fazla olan 7.440 milyon yolcuya hizmet vermiştir. Havaalanları 3.711 milyon yolcu almış (yüzde 24.2 artış), havaalanlarından ise 3.728 milyon yolcu seyahat etmiştir (yüzde 23.5 artış).

Ek olarak, 2024 yılında Gürcistan havaalanlarında yolcu trafiğinin %94.0'ı düzenli uçuşlarla gerçekleşmiştir. Rapor döneminde Gürcistan havaalanlarından gerçekleştirilen yolcu seferlerinin sayısı ise 30.3 bin olarak belirlenmiş olup, bu da bir önceki yılın verilerine göre %18.9 artış göstermektedir.

2024 yılında Gürcistan havaalanlarında yük ve posta akışının hacmi 26.2 bin ton olarak gerçekleşti, bunun %86.7'si alınan yük ve posta, %13.3'ü ise gönderilen yük ve postaydı.

Verilere göre, Gürcistan havaalanlarında 2024 yılında bir önceki yılı 2.1 kat aşan 2.2 bin kargo seferi gerçekleştirilmiştir. 2024 yılında Gürcistan sivil hava araçları kayıt defterinde 70 adet hava aracı kaydedilmiştir (önceki yıla göre %16.7 artış), %78.6'sını yolcu hava araçları, %21.4'ünü ise kargo hava araçları oluşturmaktadır.

Ek olarak, yolcu hava araçlarının %76,4'ünün 50'den az koltuğu, %10,9'unun 51-150 koltuğu ve %12,7'sinin 151-250 veya daha fazla koltuğu bulunmuştur.

2024 yılı itibarıyla Gürcistan havaalanlarının 6 pist, 58 geçiş noktası, 25 yolcu çıkışı ve 1.9 bin özel araç park yeri bulunmaktaydı.

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA K 777 LC WAIKIKI İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports Ziraat Bank

გასულ წელს, 2023 წელთან შედარებით, საჰაერო ტრანსპორტით გადატანილი ტვირთის მოცულობა 20.3 %-ით, ხოლო ტვირთბრუნვა 43.6%-ით გაიზარდა.

სტატისტიკის მიხედვით, 2024 წელს საქართველოს საჰაერო ტრანსპორტით გადატანილია 269.6 ათასი ტონა ტვირთი, ხოლო ტვირთბრუნვის მოცულობამ 611.5 მლნ. ტონა-კილომეტრი შეადგინა. შედეგად, აღნიშნულ პერიოდში, წინა წელთან შედარებით, გადატანილი ტვირთის მოცულობა 20.3 %-ით, ხოლო ტვირთბრუნვა 43.6%-ით გაიზარდა.

2024 წელს საქართველოს აეროპორტები 7.440 მლნ მგზავრს მოემსახურა, რაც 23.9%-ით აღემატება წინა წლის მაჩვენებელს. აეროპორტებმა მიიღო 3.711 მლნ მგზავრი (24.2%-ით მეტი), ხოლო აეროპორტებიდან გაემგზავრა 3.728 მლნ მგზავრი (23.5%-ით მეტი).

ამასთან, 2024 წელს საქართველოს აეროპორტებში მგზავრთა ნაკადის 94.0% რეგულარულ ფრენებზე მოდიოდა. საანგარიშო პერიოდში საქართველოს აეროპორტებიდან განხორციელებული სამგზავრო რეისების რაოდენობამ კი 30.3 ათასი შეადგინა, რაც 18.9%-ით აღემატება წინა წლის მაჩვენებელს.

2024 წელს საქართველოს აეროპორტებში ტვირთისა და ფოსტის ნაკადის მოცულობამ 26.2 ათასი ტონა იყო, საიდანაც 86.7 % მიღებული ტვირთი და ფოსტა იყო, ხოლო 13.3% - გაგზავნილი.

მონაცემების თანახმად, 2024 წელს საქართველოს აეროპორტებში 2.2 ათასი სატვირთო რეისი განხორციელდა, რაც 2.1-ჯერ აღემატება 2023 წლის მაჩვენებელს. 2024 წელს საქართველოს სამოქალაქო საჰაერო ხომალდების რეესტრში რეგისტრირებული იყო 70 ერთეული საჰაერო ხომალდი (16.7%-ით მეტი წინა წელთან შედარებით), რომელთა 78.6%-ს სამგზავრო საჰაერო ხომალდები შეადგენდა, ხოლო 21.4%-ს - სატვირთო.

ამასთან, სამგზავრო საჰაერო ხომალდების 76.4%-ს 50-ზე ნაკლები ადგილი ჰქონდა, 10.9 %- ს - 51-150 ადგილი, ხოლო 12.7 % იყო 151-250 ან მეტი ადგილით.

2024 წლისთვის საქართველოს აეროპორტებს ჰქონდა 6 ასაფრენი ბილიკი, 58 გამშვები პუნქტი, 25 სამგზავრო გასასვლელი და 1.9 ათასი საპარკინგე ადგილი კერძო ავტომობილებისათვის.

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA LC WAIKIKI MAQRO CONSTRUCTION nurol TAV Airports Ziraat Bank

Ülkede 1 Nisan'dan İtibaren Hangi Değişiklikler Yürürlüğe Girecek?

რა ცვლილებები ამოქმედდება 1-ლი აპრილიდან ქვეყანაში?

2025 Yılından itibaren ülkede bazı değişiklikler yürürlüğe girmiştir. Kamu görevlilerinin maaşları, emekli maaşları artmıştı, kredi verme kurallarında değişiklik yapıldı vb. yeni bir dizi değişiklik 1 Nisan'dan itibaren yürürlüğe girecek.

1 Nisan 2025'ten itibaren, Gürcistan'da sigara yalnızca sade ambalajda satılacaktır

1 Ekim 2024'te tüm sigara paketlerinin standart, sade ambalajda olması gerektiği ile ilgili düzenleme yürürlüğe girmiştir. Ancak, şirketlere geçiş süresi verilmiş olup, raflarda bulunan ürünlerin satışı 2025 yılının 1 Nisan'ına kadar yapılabilecektir. Tütün ürünlerinin standart ambalaj olmadan satışı, tütün ürünleri ve ambalajlarının standartlaştırılması kurallarının ihlali 5 000 lari ceza ile sonuçlanacaktır.

1 Nisan 2025'ten itibaren piroteknik kullanımı kurallarının ihlali nedeniyle ceza uygulanacaktır

1 Nisan'dan itibaren, piroteknik ürünlerin kullanım kurallarına aykırı hareket edenler için cezalar uygulanacaktır. Daha spesifik olarak, piroteknik ürünlerin, sahip olma ve/veya kullanma hakkı olmayan bir kişiye satılması, o kişinin 2 000 lari ceza almasına neden olacaktır. Ayrıca, piroteknik ürünlerin, hakkı olmayan bir kişi tarafından satın alınması, o kişinin 1 000 lari ceza almasına yol

açacaktır. Bunun yanı sıra, piroteknik ürünlerin Gürcistan anayasası tarafından belirlenen kurallara aykırı olarak kullanılması, kişinin 2 000 lari ceza almasına neden olacaktır.

1 Nisan 2025'ten itibaren yetişkin olmayanların "112" acil çağrı hattını gereksiz yere kullanmaları durumunda ceza uygulanacaktır

1 Nisan 2025'ten itibaren, ebeveynin veya çocuğun diğer yasal temsilcisinin, yetişkin olmayanın bakım ve eğitim yükümlülüklerini yerine getirmemesi dolaysıyla idari sorumluluk uygulanacaktır. Bu kapsamda, yetişkin olmayanın "112"yi amacına uygun kullanmaması durumunda da ceza uygulanacaktır.

Daha spesifik olarak, 18 yaşına girmemiş bir kişi tarafından doktor reçetesi olmadan narkotik madde kullanımı, hayvana uygunsuz, zalimce muamele, holiganlık, vandalizm yapmak, alkol almak, tütün kullanım kurallarını ihlal etmek, silah taşımak, cinsel özgürlüğe ve dokunulmazlığa karşı yasa dışı eylemlerde bulunmak, "112"yi amacına uygun kullanmamak – çocuğun ebeveyni veya diğer yasal temsilcisi için 100 lari'den 300 lari'ye kadar para cezası ile sonuçlanacaktır.

2025 წლიდან ქვეყანაში გარკვეული ცვლილებები უკვე ამოქმედდა. გაიზარდა საჯარო მოხელეების ხელფასები, პენსიები, ცვლილება შეეხო სესხის გაცემის წესს და ა.შ. რიგი ცვლილებები კი ძალაში 1-ლი აპრილიდან შევა.

2025 წლის 1 აპრილიდან, საქართველოში სიგარეტი მხოლოდ სადა შეფუთვით გაიყიდება

2024 წლის 1-ლი ოქტომბრიდან ძალაში შევიდა სიგარეტის ერთგვაროვანი შეფუთვის შესახებ რეგულაცია. რაც გულისხმობს, რომ ყველა სიგარეტის კოლოფი ერთნაირი, სადა შეფუთვის უნდა იყოს. თუმცა აღსანიშნავია, რომ კომპანიებს გარდამავალი პერიოდი მიეცათ და დახლებზე განთავსებული პროდუქციის ამოყიდვის უფლება ჰქონდათ 2025 წლის 1-ელ აპრილამდე.

თამბაქოს ნაწარმის სტანდარტიზებული შეფუთვის გარეშე რეალიზაცია, თამბაქოს ნაწარმისა და მისი შეფუთვის სტანდარტიზების წესის დარღვევა 5 000 ლარის ოდენობით დაჯარიმდება.

2025 წლის 1-ლი აპრილიდან პიროტექნიკის გამოყენების წესების დარღვევაზე ჯარიმები ამოქმედდება

1-ლი აპრილიდან ამოქმედდება ჯარიმები პიროტექნიკური ნაწარმის გამოყენების წესების დარღვევაზე. უფრო კონკრეტულად, პიროტექნიკური ნაწარმის იმ პირისთვის მიყიდვა, რომელსაც, არ აქვს მისი ფლობის ან/და გამოყენების უფლება, გამოიწვევს პირის დაჯარიმებას 2 000 ლარის ოდენობით. ამასთან, პიროტექნიკური ნაწარმის შეძენა იმ პირის მიერ, რომელსაც არ აქვს უფლება გამოიწვევს ამ პირის 1 000 ლარით დაჯარიმებას. გარდა ამისა, პიროტექნიკური ნაწარმის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესების დარღვევით გამოყენება – გამოიწვევს პირის დაჯარიმებას 2 000 ლარის ოდენობით.

2025 წლის 1-ლი აპრილიდან არასრულწლოვნის მიერ „112“-ის არამიზნობრივ გამოყენებაზე ჯარიმა ამოქმედდება

2025 წლის 1-ლი აპრილიდან მშობლის ან ბავშვის სხვა კანონიერი წარმომადგენლის მიერ არასრულწლოვნის აღზრდისა და სწავლების მოვალეობათა შეუსრულებლობა ზე ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა ამოქმედდება. მათ შორის ჯარიმა იქნება გამოყენებული, არასრულწლოვნის მიერ „112“-ს არამიზნობრივ გამოყენებაზეც.

უფრო კონკრეტულად, არასრულწლოვანის მიერ ნარკოტიკული ნივთიერების ექიმის დანიშნულების გარეშე მოხმარებით, ცხოველისადმი არასათანადო, სასტიკი მოპყრობით, წვრილმანი ხულიგნობით, ხულიგნობით, ვანდალიზმის ჩადენით, ალკოჰოლიანი სასმლის სმით, თამბაქოს მოხმარების წესების დარღვევით, ცივი იარაღის ტარებით, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული უკანონო ქმედების ჩადენით, „112“-ის – არამიზნობრივი გამოყენებით, გამოიწვევს მშობლის ან ბავშვის სხვა კანონიერი წარმომადგენლის დაჯარიმებას 100 ლარიდან 300 ლარამდე ოდენობით.

Gürcistan'dan Ekmek İhracatı Başladı

საქართველოდან პურის ექსპორტი დაიწყო

Ipkli Digomi, Gürcistan'da üretilen ekmeği, İsrail'e ihraç etti. Gürcistan'da üretilen ekmek, ihracatın ön koşulun olan İsrail'e ihraç edilen gıda ürünlerinin gerektirdiği tüm standartları karşıladı.

Son dönemlerde İsrail'den çok sayıda turist gelmektedir, dolayısıyla, onlar Gürcistan'daki ekmek kalitesini artık iyi bilirler. Bunun yanı sıra, Gürcistan'da ekmek fiyatı oldukça düşüktür, oysa İsrail'de 3-4 dolara kadar çıkmaktadır. İsrail'de Gürcü ekmeği 3 dolara kadar satılacaktır.

İsrail'e gönderilen partide ilk kez müşteriler tarafından kabul edilebilir yumuşaklığı ve ticari görünümü koruyan haşlanmış hamur teknolojisi kullanılmıştır.

იფქლი დიღომმა საქართველოში წარმოებული პური ექსპორტზე ისრაელში გაიტანა. საქართველოში წარმოებულმა პურმა დააკმაყოფილა ყველა ის სტანდარტი, რაც ისრაელში ექსპორტირებულ საკვებ პროდუქციას სჭირდება, ეს კი გახდა ექსპორტის წინაპირობა.

ბოლო პერიოდში ძალიან ბევრი ტურისტი ჩამოდის ისრაელიდან და შესაბამისად, მათ უკვე იციან, როგორი პურია საქართველოში. ამას გარდა, პურის ფასი საქართველოში საკმაოდ დაბალია, მაშინ როცა ისრაელში ის 3-4 დოლარამდე ღირს. ისრაელში ქართული პური 3 დოლარამდე ეღირება.

ისრაელში გაგზავნილ პარტიაში პირველად იქნა გამოყენებული მოხარშული ცომის ტექნოლოგია, რომელიც ინარჩუნებს სირბილეს და იმ სასაქონლე სახეს, რომელიც მომხმარებლისთვის მისაღები იქნება.

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA K 777 LC WAIKIKI თბილისი ISBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports Ziraat Bank

Kazakistan, Gürcistan'da Buğday İhracat Masraflarını Sübvanse Etmeye Başladı

ყაზახეთი საქართველოში ხორბლის საექსპორტო ხარჯის სუბსიდირებას იწყებს

Gürcistan, Azerbaycan ve Ermenistan'da buğday ihracat masrafları ton başına 20 bin tenge (40 dolar) sübvanse edilecektir. Ayrıca, Gürcistan ve Azerbaycan üzerinden Karadeniz limanlarına yönelik ihracat maliyetinin sübvansiyonu ton başına 30 bin tenge (60 dolar) olacaktır.

Emir gereği, sübvansiyon ödemeleri, tahıl taşımacılığı ile ilgili maliyetlerin azaltılmasını öngörmektedir.

კერძოდ, საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის საექსპორტო მიმართულება ტონაზე 20 ათასი ტენგეთი (40 დოლარით) დასუბსიდირდება. ამასთან, საქართველოს და აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ტრანზიტით შავი ზღვის პორტების მიმართულებით საექსპორტო ხარჯის სუბსიდია ტონაზე 30 ათას ტენგეს (60 დოლარს) შეადგენს.

ბრძანების მიხედვით, სუბსიდიების გადახდის წესი მარცვლეულის ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული ხარჯის შემცირებას ითვალისწინებს.

Gürcistan Buğdayı Ne Kadara Satın Alıyor?

რა ფასად ყიდულობს საქართველო ხორბალს?

Gürcistan, buğdayı esasen Rusya'dan satın almakta, ancak 2024 yılının Aralık ve 2025 yılının Ocak aylarında Kazakistan'dan da ithalat gerçekleştirilmiştir.

Aralık ayında Gürcistan, Kazakistan'dan 367 bin dolara 1 610 ton, Ocak ayında ise 590.2 bin dolara 2 590 ton buğday satın aldı.

Rusya'ya gelince, 2024'ün Aralık ayında komşu ülkeden 6.116 milyon dolar değerinde 25 474 ton buğday ithal edilmişken, bu yılın Ocak ayında 4.698 milyon dolar değerinde 19 451 ton buğday ithal edilmiştir.

İthalat verilerine dayanarak, Gürcistan için Kazak buğdayının Rus buğdayından daha ucuz olduğu ortaya çıkmaktadır. Daha spesifik olarak, Aralık ve Ocak aylarında Kazakistan'dan bir ton buğday ithalatı 228 dolar, Rusya'dan ise 241 dolar (vergiler hariç) olmuştur.

საქართველო ხორბალს ძირითადად რუსეთში ყიდულობს, თუმცა 2024 წლის დეკემბერსა და 2025 წლის იანვარში იმპორტი ყაზახეთიდანაც განხორციელდა.

დეკემბერში საქართველომ ყაზახეთში 367 ათასი დოლარის 1 610 ტონა ხორბალი იყიდა, იანვარში კი 590.2 ათას დოლარის 2 590 ტონა.

რაც შეეხება რუსეთს, 2024 წლის დეკემბერში მეზობელი ქვეყნიდან 6.116 მლნ დოლარის ღირებულების 25 474 ტონა ხორბალი შემოვიდა, მიმდინარე წლის იანვარში კი 4.698 მლნ დოლარის 19 451 ტონა.

იმპორტის ამ მონაცემებიდან გამომდინარე გამოდის, რომ საქართველოს ყაზახური ხორბალი უფრო იაფი უჯდება, ვიდრე რუსული. უფრო კონკრეტულად, დეკემბერსა და იანვარში ყაზახეთიდან ერთი ტონა ხორბლის იმპორტი 228 დოლარი დაჯდა, რუსეთიდან კი 241 დოლარი (გადასახადების გარეშე).